ინფორმირებულობა

დავა გარდაუვალია - მიიღეთ ის.

მზადება

დავა სწავლის გულშია!

მოქმედება

ყველას აქვს უფლება თავისუფლად ისაუბროს!

სადავო საკითხები

სადავო საკითხები

სადავო საკითხები

როგორც სკოლის ხელმძღვანელს, თქვენ სხვებზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ დავა დღევანდელ სკოლაში გარდაუვალი გამოცდილებაა. სოციალური მედიითა და კომუნიკაციის მყისიერი დამყარების საშუალებებით სარგებლობა განაპირობებს იმას, რომ მოსწავლეებს ყოველდღიურად აქვთ შეხება ისეთ საკითხებთან, როგორიცაა, მიგრაცია, კლიმატის ცვლილება, ტერორიზმი და ლგბტ პირების უფლებები. ამგვარ საკითხებზე მოსწავლეებთან საუბარი პრობლემას წარმოადგენს, თუმცა, როგორ უნდა გაერკვნენ ახალგაზრდები ამ საკითხებში, თუ მათ არ მივცემთ საშუალებას სკოლაში იმსჯელონ მათზე? როგორ უნდა მიეჩვიონ კრიტიკულ აზროვნებას ან კამათს დემკრატიული პრინციპებით, თუ მათ ამას მასწავლებელი არ ასწავლის? სადავო საკითხებზე მსჯელობას ბევრი დადებითი შედეგი მოაქვს, თუმცა იგი არ წარმოადგენს ამოცანას, რომელსაც შეიძლება მსუბუქად მივუდგეთ. ამისათვის, სხვა რესურსებთან ერთად თქვენ გჭირდებათ სათანადოდ მომზადებული პედაგოგები, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა და სკოლის ეთოსი, რომელიც მსგავსი პროცესის წარმართვას უწყობს ხელს

წინამდებარე ნაწილში შესული მასალის უმეტესი ნაწილი აღებულია ევროპის საბჭოს ორი სახელმძღვანელოდან:

მასწავლებელთა მოსამზადებელი მასალა: „სადავო საკითხების სწავლება“, შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ქვემოთ მითითებული გვერდიდან: https://pjp-eu.coe.int/en/web/charter-edc-hre-pilot-projects/teaching-controversial-issues-developing-effective-training-for-teachers-and-school-leaders

სკოლის თვით-შეფასების ინსტრუმენტი: „დავის მართვა“, შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ქვემოთ მითითებული გვერდიდან: https://pjp-eu.coe.int/en/web/charter-edc-hre-pilot-projects/project-1-managing-controversy-a-whole-school-training-tool

სადავო საკითხები - თემა 1: სადავო საკითხები სკოლაში

სადავო საკითხები - რა და სად?

დავა არ შემოიფარგლება ყოველდღიური უთანხმოებებითა და აზრთა სხვადასხვაობით. ეს არის სიტუაცია, რომელიც მძაფრ ემოციებს აღძრავს და ადამიანებს შორის ერთმანეთის მიმართ ცუდ დამოკიდებულებასა და განხეთქილებას იწვევს.

დავა დემოკრატიის პირობებში, და ნებისმიერ საზოგადოებაში, რომელშიც გამოხატვის თავისუფლებას სცემენ პატივს, მათ შორის სკოლაშიც, ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს.

სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილზე დავის სხვადასხვა ტიპები გვხვდება. დავები ერთმანეთისგან განსხვავდება მასშტაბის მიხედვითაც და, აგრეთვე, არსებობს ადგილობრივი და გლობალური დავებიც.

ზოგჯერ დავა თავად სკოლიდან იღებს სათავეს. მაგალითად, ადამიანებს შორის შესაძლებელია თავი იჩინოს უთანხმოებამ შემდეგ საკითხებზე:

- სკოლის პროგრამაში შესული მასალა, მაგალითად ევოლუცი;
- სკოლაში არსებული წესები, მაგალითად, მოსწავლეების ჩაცმულობა;
- ადგილობრივ თემთან ურთიერთობისას, მაგალითად, მოპყრობა ემიგრანტი მოსწავლეებისადმი

თქვენს, როგორც სკოლის ხელმძღვანელის საფიქრალს წარმოადგენს, და სამართლიანადაც, ის, თუ როგორ და რა საშუალებებით წარმოებს სკოლაში სადავო საკითხების მოგვარება - კლასებში წარმოებული განხილვებითა და დისკუსიებით, მოსწავლეთა პარლამენტში გამართული დებატებით, თუ მშობელთა კრებებზე. თქვენთვის აუცილებლად უნდა იყოს ცნობილი ის შედეგები, რაც მოსდევს მსგავს პროცესებზე კონტროლის დაკარგვას და ის, თუ რაოდენ დააზარალებს ეს თქვენი სკოლის რეპუტაციას.

სწორედ ამიტომ, თქვენ, როგორც სკოლის ხელმძღვანელს, გევალებათ შემდეგი:

- გათვალოთ ის რისკები, რომლებიც სადავო საკითხებთან გამკლავებას უკავშირდება;
- აკონტროლოთ საკითხები, რომლებსაც სადავო საკითხებად ქცევის პერსპექტივა აქვს;
- ასწავლოთ პედაგოგებს როგორ უნდა მართონ უსაფრთხოდ და გონივრულად სადავო საკითხები

სადავო საკითხები - თემა 1: სადავო საკითხები სკოლაში

სადავო საკითხები - რატომ არის სასარგებლო მსჯელობა

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თავს უფრო კომფორტულად ვიგრძნობთ, თუ სკოლაში სადავო საკითხებზე მსჯელობისგან თავს შევიკავებთ; რადგან ამგვარი საკითხების წამოჭრა მოსწავლეებში მხოლოდ მტრობისა და შუღლის გაღვივებას შეუწყობს ხელს, რომელთანაც გამკლავებას მოსწავლეები ვერ შეძლებენ, ან ამგვარი საკითხების განხილვას შესაძლებელია დიდი უკმაყოფილება მოჰყვეს.

მაგრამ ეს არადემოკრატიული მიდგომაა. **დავებისა და კონფლიქტების გადაჭრის დემოკრატიული გზა გულისხმობს მათზე საუბარსა და მსჯელობას**. ძალიან მნიშვნელოვანია საკითხების განხილვა და მათზე მსჯელობა ღიად და ურთიერთპატივისცემის გარემოში. და მოსწავლეებისათვის იმის სწავლება, თუ როგორ გაართვენ თავი ამგვარ სიტუაციებს, სკოლის უმნიშვნელოვანეს მისიას წარმოადგენს.

ქვევით მოყვანილია **სხვა რამდენიმე მიზეზი, რომლებიც ხსნის თუ რატომ და რისთვის არის სასარგებლო სკოლაში სადავო საკითხებზე საუბარი და მსჯელობა**. თქვენი აზრით, რომელი მათგანია ყველაზე მნიშვნელოვანი? შეეცადეთ დაალაგოთ ქვევით მოცემული მიზეზები პრიორიტეტულობის მიხედვით, 10 ბალიანი (1-10) შკალით, სადაც 1 არის ყველაზე მაღალპრიორიტეტული, ხოლო 10 - ყველაზე დაბალი. მოცემული სავარჯიშოს შესრულება შეგიძლიათ დაავალოთ თქვენს მოსწავლეებსაც, მასწავლებლებსაც და მშობლებსაც.

1. ხელს უწყობს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების კომპეტენციის განვითარებას	
2. ხელს უწყობს მოსწავლეების მომზადებას იმისთვის, რომ მათ შეძლონ თავი გაართვან სადავო საკითხების მოგვარებას, რომლებთანაც გამკლავება მათ მოუწევთ მომავალში	
3. შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები	
4. ეხმარება მოსწავლეებს გაერკვნენ იმ თემებსა და საკითხებში, რომელთა შესახებაც ისინი ინფორმაციას სოციალური მედიის საშუალებით იღებენ	
5. ეხმარება მოსწავლეებს მეტი შეიტყონ მსოფლიოს შესახებ	
6. გაკვეთილს უფრო რეალისტურ და თანამედროვე იერს სძენს	
7. მოსწავლეებს ეუფლებათ განცდა, რომ სკოლა და საზოგადოება მათ აფასებს და ანგარიშს უწევს	
8. ეხმარება მოსწავლეებს ისწავლონ განსხვავებული შეხედულებებისა და განსხვავებული წარმომავლობის ადამიანებისადმი პატივისცემით მოპყრობა	
9. მოსწავლეები აანალიზებენ თუ როგორ წარმოებს სოციალური მედიის საშუალებით არასწორი ინფორმაციისა და ყალბი ამბების გავრცელება	
10. მოსწავლეებში მაღლდება თავდაჯერებულობა და საკუთარი ძალებისადმი რწმენა	

რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ სკოლაში მსჯელობა უნდა გაიმართოს ყველა და ნებისმიერ საკითხზე, რაც არ უნდა სადავო და საკამათო იყოს ეს საკითხები. ზემოთ მოცემული სავარჯიშოდან ჩანს, რომ სკოლაში სადავო საკითხებზე საუბარი და მათი განხილვა ბევრი სარგებლის მომტანია იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგს უსაფრთხოდ შეუძლია გაართვას თავი ამგვარი მსჯელობის გაძღოლას.

სადავო საკითხები - თემა 1: სადავო საკითხები სკოლაში

სადავო საკითხები - რაზე სურთ საუბარი თქვენს სკოლაში ადამიანებს?

სადავო საკითხებზე სერიოზულად მსჯელობის საჭიროების გამოვლენისა და დაკმაყოფილების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რაზე სურთ საუბარი ადამიანებს თქვენს სკოლაში. ამისთვის შეგიძლიათ ჩაატაროთ კვლევა სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების გამოკითხვით, ქვევით მოცემული პრინციპით, რომელიც სადავო საკითხებს სამ ჯგუფად ახარისხებს: გაკვეთილებთან დაკავშირებული სადავო საკითხები, ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები და მშობლებსა და სკოლას შორის ურთიერთობასთან დაკავშირებული სადავო საკითხები. მას შემდეგ, რაც კვლევის შედეგად გამოავლენთ რომელ სადავო საკითხებზე სურს სკოლის საზოგადოებას მსჯელობა, შეგიძლიათ გამოხვიდეთ ინიციატივით გაიმართოს მსჯელობა იმ საკითხებზე, რომლებიც ყველაზე აქტუალურია და დაუყოვნებლივ საჭიროებს მოგვარებასა თუ გადაჭრას.

	მასწავლებლები	**მოსწავლეები**	**მშობლები**
გაკვეთილები			
ყოველდღიური სასკოლო ცხოვრება			
ურთიერთობა მშობლებსა და სკოლას შორის			

სადავო საკითხები - თემა 2: სადავო საკითხების უსაფრთხოდ მოგვარება

სადავო საკითხების მართვა საკლასო გარემოში - რა უნარებს უნდა ფლობდნენ მასწავლებლები?

საკლასო გარემოში სადავო საკითხებზე მსჯელობის უსაფრთხოდ წარმართვისათვის მასწავლებლები უნდა ფლობდნენ მთელ რიგ უნარებს, რომლებიც მოიცავს შემდეგს:

- როგორ უნდა შეირჩეს განსახილველი საკითხი
- როგორ უნდა მართონ საკუთარი შეხედულებები და მყარად ჩამოყალიბებული პოზიცია, რომელიც მათ კონკრეტული საკითხის მიმართ გააჩნიათ
- რა რეაგირება უნდა ჰქონდეთ მოსწავლეების მხრიდან რასიზმის, სექსიზმის და მსგავსი დამაკნინებელი გზავნილის შემცველ განცხადებებზე
- როგორ უნდა მართონ მოსწავლეებს შორის გამართული მსჯელობა ისე, რომ არ გამოიჩინონ მიკერძოებულობა და არ მიემხრონ კონკრეტულ პოზიციას
- როგორ უნდა შექმნან ისეთი გარემო, რომ მოსწავლეებს გაუჩნდეთ სურვილი მოისმინონ განსხვავებული მოსაზრება
- როგორ უნდა ასწავლონ მოსწავლეებს მსჯელობის წარმართვა ურთიერთპატივისცემის პრინციპით
- როგორ უნდა უზრუნველყონ ის, რომ საკლასო გარემოში გამართული მსჯელობა ცხარე დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს
- როგორ უნდა მოიქცნენ იმ სიტუაციაში, როდესაც კლასში განსახილველ საკითხზე არასაკმარის ცოდნას ფლობენ.

სთხოვეთ თქვენი სკოლის მასწავლებლებს შეაფასონ რამდენად ფლობენ ზემოთ ჩამოთვლილ უნარებს, რომლებიც სადავო საკითხებზე მსჯელობისას წარმოქმნილ სირთულეებთან გამკლავებას ემსახურება. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეარჩიეთ მასწავლებლების მოსამზადებელი შესაბამისი პროგრამა და უზრუნველყავით მათი მომზადება, სათანადო შესაძლებლობის გამოჩენისთანავე.

სადავო საკითხები - თემა 2: სადავო საკითხების უსაფრთხოდ მოგვარება

სადავო საკითხების მართვა საკლასო გარემოში - იდეების პრაქტიკაში გამოყენება

საკლასო გარემოში სადავო საკითხებზე გამართული მსჯელობის უსაფრთხოდ წარმართვა მასწავლებლისგან მოითხოვს ბევრი უნარის ფლობას. ქვევით მოცემულია ოთხი რჩევა, რომლებიც ამ მიმართულებით **მასწავლებელთა მომზადებას** ემსახურება, და რომლებიც მათ დაეხმარება საჭირო უნარების განვითარებასა და სრულყოფაში.

1. როგორ უნდა მართონ მასწავლებლებმა საკუთარი შეხედულებები და მყარად ჩამოყალიბებული პოზიცია, რომელიც მათ კონკრეტული საკითხის მიმართ გააჩნიათ

მასწავლებლებს დაურიგეთ ფოტოები, რომლებზეც ადამიანების სახეებია გამოსახული (ფოტოები შეგიძლიათ ჟურნალებიდან ამოჭრათ). ჰკითხეთ მათ, ფოტოებზე გამოსახული რომელი პიროვნებაა, მათი აზრით, ტერორისტი, და სთხოვეთ მათ ახსნან თუ რა უდევს საფუძვლად მათ მოსაზრებას. შემდეგ აუხსენით მათ, რომ ამ ფოტოებზე გამოსახული არც ერთი პიროვნება არ არის ტერორისტი და მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები სუბიერტურია და მხოლოდ მათ გონებაშია მყარად გამჯდარი. ამის შემდეგ, სთხოვეთ მასწავლებლებს ამოიცნონ და გაანალიზონ ის ცრუ შეხედულებები და პოზიციები, რომლებიც მათ ქვეცნობიერად გააჩნიათ სხვა კონკრეტული სადავო საკითხის შესახებ, რომლის გარშემოც შეიძლება გაიმართოს მსჯელობა გაკვეთილზე, მოსწავლეებს შორის.

2. რა რეაგირება უნდა ჰქონდეთ მასწავლებლებს მოსწავლეების მხრიდან რასიზმის, სექსიზმის და მსგავსი დამაკნინებელი გზავნილის შემცველ განცხადებებზე

მოიფიქრეთ და აღწერეთ სიტუაცია, რომლის დროსაც მოსწავლეებმა შესაძლებელია გააკეთონ რასიზმის, სექსიზმის და მსგავსი დამაკნინებელი გზავნილის შემცველი განცხადებები. სთხოვეთ მასწავლებლებს იმუშაონ ჯგუფებად და მოიფიქრონ ვარიანტები, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ ისინი მსგავს სიტუაციას, და ამასთან, უნდა დაასახელონ რა უპირატესობები და ნაკლი ახასიათებს მათ მიერ შერჩეულ ხერხსა თუ გზას. განიხილეთ მასწავლებლების მიერ შემოთავაზებული ვარიანტები და დაუსვით მათ შემდეგი კითხვები „რა უდევს საფუძვლად თქვენ მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს?“, „ამგვარი მიდგომა ვინმეს გულისტკენას ხომ არ გამოიწვევს?“ დაფიქრდით როდის და როგორ იქნება უმჯობესი მოსწავლეებისთვის „სიძულვილის ენის“ ცნებაზე ინფორმაციის მიწოდება.

3. როგორ უნდა შექმნან მასწავლებლებმა ისეთი გარემო, რომ მოსწავლეებს გაუჩნდეთ სურვილი მოისმინონ განსხვავებული მოსაზრება

მასწავლებლები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს რიგ სადავო საკითხებზე. სთხოვეთ მათ შეარჩიონ ისეთი საკითხი, რომელზეც მათ ყველაზე მყარი პოზიცია აქვთ და შეეცადონ საპირისპირო მოსაზრების დამტკიცებას. მიეცით მასწავლებლებს შესაძლებლობა მოირგონ საპირისპირო მოსაზრების მატარებელთა თუ საპირისპირო პოზიციის მომხრეთა როლი. შემაჯამებელი აქტივობის სახით, სთხოვეთ მათ ჩამოაყალიბონ, რა შეიძინეს საკუთარი მოსაზრების საპირისპირო პოზიციის დაცვის დროს მიღებული გამოცდილებიდან, და რა შეიტყვეს იმ ადამიანებზე, რომლებსაც ამგვარი საპირისპირო პოზიცია გააჩნიათ. სთხოვეთ მასწავლებლებს დაფიქრდნენ როდის და როგორ შეიძლება მოსწავლეებისთვის ამ სავარჯიშოს შეთავაზება.

4. როგორ უნდა უზრუნველყონ მასწავლებლებმა ის, რომ საკლასო გარემოში გამართული მსჯელობა ცხარე დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს

სთხოვეთ მასწავლებლებს ჯგუფებში გადანაწილდნენ და შეეცადონ ზოგადი სახე მისცენ იმ კითხვებს, რომლებიც მათ შეიძლება დასვან საკლასო გარემოში, მოსწავლეებს შორის სადავო საკითხებზე მსჯელობის ხელშეწყობის დროს, ანუ, პირადი ხასიათის კითხვები ზოგადი ხასიათის კითხვებად გადააკეთონ. მაგალითად, კითხვა: „რას ფიქრობთ ემიგრანტ მუშახელზე?“ შეცვალონ ისეთი კითხვით, როგორიცაა „რა შეხედულება გააჩნია საზოგადოებას ემიგრანტ მუშახელზე?“. მოიყვანეთ რაც შეიძლება მეტი მაგალითი. იმსჯელეთ, თუ რა ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს კითხვების ამგვარად შეცვლას სკოლაში გამართულ დისკუსიებსა და მსჯელობებზე, და რა სიტუაციებშია უმჯობესი ამ მიდგომის გამოყენება.

სადავო საკითხები - თემა 2: სადავო საკითხების უსაფრთხოდ მოგვარება

სადავო საკითხების მართვა საკლასო გარემოში - მასწავლებლის როლი

მასწავლებლებს, როგორც ყველა სხვა ადამიანს, პროფესიის მიუხედავად, აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი, შეხედულება და პოზიცია. მაგრამ, არ არის აუცილებელი ეს გულისხმობდეს ამ შეხედულებებისა თუ პოზიციების მოსწავლეებისთვის გაზიარებას, და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს იმ შეხედულებასა და პოზიციას, რომელიც მისი შეხედულებისა და პოზიციის ანალოგურია. მაგრამ, რა პოზიციაზე უნდა დადგეს მასწავლებელი, საკლასო გარემოში სადავო საკითხზე დისკუსიის წარმართვისას?

მასწავლებლის ფუნქციას, ამ სიტუაციაში, არ წარმოადგენს ერთ რომელიმე პოზიციაზე არჩევანის გაკეთება. მასწავლებლის ფუნქციას წარმოადგენს მოსწავლეების დახმარება მათი სწავლის პროცესში. ამ მიზნით, არსებობს **მთელი რიგი როლებისა, რომლებიც მასწავლებელმა შეიძლება მოირგოს** საკლასო გარემოში მსჯელობისა და დისკუსიის წარმართვისას. ქვევით გთავაზობთ ექვს განსხვავებულ როლს და სიტუაციებს, რომელთა დროსაც შესაძლებელია მასწავლებელმა მოირგოს მოცემული როლები.

‘მიუკერძოებელი თავმჯდომარე’

მასწავლებელი უზრუნველყოფს ისეთ გარემოს, სადაც ყველა მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია გამოთქვას საკუთარი შეხედულება თუ პოზიცია; მასწავლებელი არ აკეთებს არანაირ კომენტარს

ამ როლის მორგება მასწავლებელს შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები კარგად არიან ინფორმირებული განსახილველი საკითხის შესახებ და განსხვავებული პოზიციის მატარებელ ჯგუფებში მოსწავლეები შეტ-ნაკლებად თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი

‘ეშმაკის ადვოკატი’

მასწავლებელი მოსწავლეების მიერ გამოხატული პოზიციის საპირისპირო პოზიციას იკავებს

ამ როლის მორგება მასწავლებელს შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეების დიდი უმრავლესობა ერთ პოზიციას უჭერს მხარს

‘მოკავშირე’

მასწავლებელი ერთი ინდივიდუალური მოსწავლის ან მოსწავლეთა კონკრეტული ჯგუფის მიერ გამოთქმულ პოზიციას ემხრობა

ამ როლის მორგება მასწავლებელს შეუძლია უფრო „სუსტი“ მოსწავლეების ან მარგინალიზებული ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლეების მხარდაჭერის მიზნით

‘ხელისუფლების წარმომადგენელი’

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ხელისუფლების მოსაზრებას კონკრეტულ საკითხზე

ამ როლის მორგება მასწავლებელს შეუძლია, როდესაც სადავო საკითხი ეხება ადამიანის უფლებებს, სკოლებთან დაკავშირებულ ოფიციალურ პოლიტიკას ან მთავრობის მიერ გამოცემულ განკარგულებას

‘ახსნა-განმარტების მიმწოდებელი’

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ერთმანეთისგან განსხვავებულ მოსაზრებებსა და არგუმენტებს

ამ როლის მორგება მასწავლებელს შეუძლია, როდესაც მოსწავლეები არ იცნობენ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არსებულ განსხვავებულ პოზიციას, ან იმ არგუმენტებს, რომელიც ამ განსხვავებული პოზიციის მატარებელ ადამიანებს გააჩნიათ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად

‘მოქალაქე’

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს საკუთარ შეხედულებასა და პოზიციას, კონკრეტულ საკითხზე

ამ როლის მორგება მასწავლებელს შეუძლია, როდესაც მოსწავლეები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მისი პიროვნული მიუკერძოებლობის საკითხს

სადავო საკითხები - თემა 3: სადავო საკითხები სასწავლო პროგრამაში

სადავო საკითხები სასწავლო პროგრამაში - სად და რა?

სასწავლო პროგრამა ხშირად სადავო საკითხების წყაროდ გვევლინება სკოლებში. ზოგიერთი სასკოლო საგანი უფრო ხშირად წარმოადგენს სადავო საკითხების წყაროს, სხვა საგნებთან შედარებით. ქვემოთ მოცემულია იმ საგნების ჩამონათვალი, რომლებიც შესაძლებელია იქცეს სადავო საკითხების წყაროდ.

- **ისტორია** – ქვეყნის ისტორიულ ფაქტებთან არსებული ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები
- **რელიგიათმცოდნეობა** – მორალსა და რელიგიურ ჭეშმარიტებასთან დაკავშირებული ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები
- **ფიზიკური აღზრდა** – სექსუალობასა და მორალურ ქცევასთან დაკავშირებული ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები
- **სამოქალაქო განათლება და სოციალური მეცნიერებები** – სდავო პოლიტიკური პროგრამები და იდეოლოგიები
- **ლიტერატურა** – მხატვრულ ლიტერატურაში აღწერილი მორალური და სოციალური დამოკიდებულებების საპირისპირო მოსაზრებები
- **საბუნებისმეტყველო საგნები** – ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები მეცნიერების პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით და მეცნიერებასა და რელიგიას შორის შეუთავსებლობა.

როგორც სკოლის ხელმძღვანელს, თქვენ კარგად უნდა გქონდეთ გაცნობიერებული, რომ თქვენი სკოლის საზოგადოების წევრებს შორის შესაძლებელია იყოს განსხვავებული მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ართმევს თქვენი სკოლა თავს ამ საკითხებს, და ზოგიერთი პირი შეიძლება კატეგორიულად არ ეთანხმებოდეს თქვენ მიერ არჩეულ მიდგომას, მაგალითად, არ იზიარებდეს ისტორიულ ფაქტებზე ისტორიის იმ სახელმძღვანელოში შესულ მოსაზრებას, რომლითაც თქვენი მასწავლებლები ხელმძღვანელობენ, მოსწავლეებისათვის ისტორიის სწავლების პროცესში; ან გაუმართლებლად მიაჩნდეს რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების სწავლება სკოლაში.

ბევრ შემთხვევაში, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალა სავალდებულოა და თქვენ არ გაქვთ უფლება მასში ცვლილებები შეიტანოთ, თქვენი შეხედულებებისა თუ სურვილის მიხედვით. შესაბამისად, როდესაც სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალასა თუ რესურსებთან დაკავშირებით წარმოქმნილი უთანხმოების მართვა თქვენს ძალებს აღემატება, თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ **საჯარო განცხადება**, იმ ეჭვებისა და შიშების გასაფანტად, რომელიც თქვენი სკოლის მიერ ამ საკითხის მოგვარების მიზნით არჩეულ გზას უკავშირდება.

თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, საუკეთესო სტრატეგია იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ თქვენს სკოლაში მოსწავლეთა განათლების პროცესში ჩართული პერსონალი კარგად ერკვეოდეს იმ სადავო საკითხებში, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მათი საგნის სწავლებასთან დაკავშირებით, და რომ მასწავლებლები ფლობდნენ **უნარებს**, რომლებიც მათ ამ სადავო საკითხების უსაფრთხოდ და უმტკივნეულოდ მოგვარებაში დაეხმარება.

სადავო საკითხები - თემა 3: სადავო საკითხები სასწავლო პროგრამაში

სადავო საკითხები სასწავლო პროგრამაში - საუბრის შესაძლებლობების შექმნა

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანი შესაძლებელია უფრო მეტად წარმოადგენდეს სადავო საკითხების წყაროს, ვიდრე სხვა საგნები, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გაკვეთილზე განხილული იყოს სადავო საკითხები, მაგრამ ამისთვის საჭიროა კარგად ვერკვეოდეთ იმაში, თუ სად უნდა ვეძიოთ აღნიშნული სადავო საკითხები. საკლასო გარემოში ამგვარ სადაო საკითხებზე მსჯელობა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მოსწავლეებისათვის განათლების მიწოდებას დემოკრატიული პრინციპებით, არამედ იმასაც, რომ მოსწავლეები უკეთ დაეუფლონ თავად საგანს.

კონკრეტული საგნის მასწავლებლები შესაძლებელია არ აღიარებდნენ მათი საგნის ფარგლებში ამგვარი შესაძლებლობის არსებობას. შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ შესთავაზოთ მასწავლებლებს ქვემოთ აღწერილი **ორი აქტივობა**, რომლებიც მათ დაეხმარება ამ შესაძლებლობების მოძიებაში.

1. 'აქტუალური საკითხების დაკავშირება საგნებთან'

მასწავლებლების ჯგუფებს, რომლებშიც სხვადასხვა საგნების მასწავლებლები არიან წარმოადგენილი, სთხოვეთ გონებრივი იერიშის საშუალებით შეადგინონ იმ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებიც სადავო და აქტუალურ საკითხებს წარმოაგენს მათ სკოლაში, ადგილობრივ თუ ფართო საზოგადოებაში. ამ საკითხებიდან ამოკრიფეთ ის საკითხები, რომლებიც იგულისხმება სავალდებულო სასწავლო პროგრამაში. სთხოვეთ მასწავლებელთა ჯგუფებს გაანალიზონ დარჩენილი საკითხები და შეაფასონ ეს საკითხები იმის მიხედვით თუ, მათი მოსაზრებით, რამდენად რელევანტურია ისინი მოსწავლეთა განათლებისა და მომავალი ცხოვრებისათვის. ამის შემდეგ მასწავლებელთა ჯგუფები ირჩევენ ყველაზე რელევანტურ და აქტუალურ საკითხებს და ცდილობენ დააკავშირონ ეს საკითხები სკოლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებთან. შეაჯერეთ მასწავლებელთა სხვადასხვა ჯგუფების პასუხები და სთხოვეთ საგნის სწავლებაზე პასუხისმგებელ წამყვან მასწავლებლებს მოიფიქრონ, თუ როგორ შეიძლება ამ საკითხების განხილვის ჩართვა კონკრეტული საგნის სწავლების პროცესში.

2. 'სადავო საკითხები, რომლებიც ერთზე მეტ სასწავლო საგანს უკავშირდება'

ოთახში მაგიდების ორივე მხარეს განალაგეთ სამ-სამი სკამი, ისე რომ სკამების მწკრივები ერთმანეთს უყურებდეს. მასწავლებლები ჯგუფდებიან ექვს-ექვსი მასწავლებლისგან შემდგარ ჯგუფებად, ამასთან, ერთი ჯგუფის წევრი ყველა მასწავლებელი განსხვავებულ საგანს უნდა ასწავლიდეს, ანუ, არც ერთ ჯგუფში არ უნდა იყოს წარმოდგენილი ერთი საგნის ორი მასწავლებელი. თითოეულ ჯგუფში მასწავლებლები ქმნიან სამ წყვილს და მასწავლებელთა ჯგუფები მაგიდას შემოუსხდებიან ისე, რომ წყვილები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. სთხოვეთ მასწავლებელთა წყვილებს შეთანხმდნენ, იმ ერთ სადავო საკითხზე, რომელიც ორივე მათგანის საგანს უკავშირდება. ამისთვის მასწავლებლებს აქვთ რამდენიმე წუთი, დროის ამოწურვის შემდეგ, მასწავლებლებს სთხოვეთ სხვა წყვილებად გადანაწილდნენ იმავე ჯგუფებში და გაიმეორონ იგივე აქტივობა. მასწავლებელთა წყვილები ინიშნავენ იმ საკითხებს, რომლებზეც ისინი შეთანხმდნენ და რომელთა განხილვაც წარმოებს აქტივობის დასკვნით ეტაპზე, ყველა მასწავლებლის მონაწილეობით.

სადავო საკითხები - თემა 3: სადავო საკითხები სასწავლო პროგრამაში

სადავო საკითხები სასწავლო პროგრამაში - დისკუსიის წარმართვა

როგორ სთავაზობთ კლასში მოსწავლეებს სადავო საკითხებზე მსჯელობას? მოსწავლეების გადანაწილება მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად და მათთვის თხოვნა შეუდგნენ საკითხის განხილვას და საკუთარი არგუმენტების წამოყენებას, ძალიან ხშირად საკმარისი არ არის. ამ შემთხვევაში ყურადღების მიღმა ჩება მოსწავლეების მხრიდან საკითხის სირთულის გააზრება და, გარდა ამისა, ზოგიერთი მოსწვლე შესაძლებელია არ ფლობდეს საკმარის ინფორმაციას, რაც საკითხზე სერიოზულად მსჯელობისთვის არის საჭირო.

‘ვეთანხმები, არ ვეთანხმები, არ ვიცი’

საკლასო ოთახში აირჩიეთ სამი კედელი და თითოეულზე გააკარით შემდეგი წარწერებიდან ერთ-ერთი „ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“, „არ ვიცი“. ხმამაღლა წაიკითხეთ დებულება ან წინადადება, რომელიც სადავო საკითხს უკავშირდება, მაგალითად, „ხორცის ჭამა უნდა იკრძალებოდეს“, და სთხოვეთ მოსწავლეებს გაიაზრონ წინადადების შინაარსი და დადგნენ იმ კედელთან, რომელზე გაკრული წარწერაც ყველაზე ახლოს არის აღნიშნულ წინადადებაზე მათ მოსაზრებასთან, ანუ ეთანხმებიან თუ არ ეთანხმებიან ისინი გამოთქმულ მოსაზრებას, თუ არ აქვთ პასუხი ან არ არიან დარწმუნებული. საკლასო ოთახში სკამები და მერხები გადაადგილეთ და განათავსეთ შერჩეული კედლების გასწვრივ და სთხოვეთ მოსწავლეებს დაიკავონ ადგილები იმ კედელთან, რომელზეც მათ მიერ შერჩეული პასუხია გაკრული, ამასთან, მოსწავლეების ჯგუფი, რომლებიც ეთანხმებიან მოსაზრებას უნდა იჯდნენ იმ მოსწავლეების პირისპირ, რომლებიც არ ეთანხმებიან მოსაზრებას, ხოლო მოსწავლეები, რომლებმაც აირჩიეს პასუხი „არ ვიცი“ ამ ორი ჯგუფის პერპენდიკულარულად უნდა განლაგდნენ. სთხოვეთ მოსწავლეებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და იმსჯელონ მათზე, ამასთან მათ უნდა დაიცვან გარკვეული რიგითობა, მაგალითად:

- მოსაზრების „მომხრეები“ აცნობენ თავიანთ არგუმენტებს „მოწინააღმდეგეებს“
- „მოწინააღმდეგეები“ აცნობენ საკუთარ კონტრარგუმენტებს „მომხრეებს“
- „მომხრეები“ და „მოწინააღმდეგეები“ იწყებენ მსჯელობას მოსწავლეთა გუნდების მიერ გამოთქმულ არგუმენტებზე
- მესამე გუნდის წევრები, რომლებმაც დაიკავეს „არ ვიცი“ პოზიცია, არგუმენტების მოსმენის შემდეგ გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს და მათ ეძლევათ საშუალება კითხვები დაუსვან „მომხრეებსა“ და „მოწინააღმდეგეებს“
- „მომხრეები“, „მოწინააღმდეგეები“ და „არ ვიცი“ გუნდის წარმომადგენელი მოსწავლეები ერთად მსჯელობენ გაჟღერებულ არგუმენტებზე და პასუხობენ დასმულ კითხვებს.

ამგვარი აქტივობას, საშუალოდ, საათნახევარი ან მეტი დრო სჭირდება. შემაჯამებელ ეტაპზე, შეგიძლიათ მოსწავლეებს სთხოვოთ გააკეთონ კომენტარები იმის შესახებ, შეიცვალეს თუ არა შეხედულება საკითხზე მსჯელობის შემდეგ, მსჯელობის დროს რომელი არგუმენტი ან მოსაზრება იყო, მათი აზრით, გარდამტეხი მნიშვნელობის, და, ასევე, შეგიძლიათ სთხოვოთ მოსწავლეებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი მათ მიერ განხილული საკითხის სიღრმისეული კვლევა და შესწავლა.



სადავო საკითხები - თემა 4: სადავო საკითხები და სკოლის კულტურა

სადავო საკითხები და სკოლის კულტურა - უსაფრთხოა საუბარი?

როგორც სკოლის ხელმძღვანელისთვის, თქვენთვის კარგად იქნება ცნობილი ის ფაქტი, რომ სკოლის ყოველდღიური ცხოვრების ხარისხი და კულტურა ზემოქმედებს მოსწავლეთა სწავლის ხარისხსა და მათ აკადემიურ მიღწევებზე. იგივე შეიძლება ითქვას სადავო საკითხებთან დაკავშირებითაც. რთულ საკითხებზე მსჯელობა დისკომფორტს უქმნის მასწავლებლებსაც, მოსწავლეებსაც და მათ მშობლებსაც. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სკოლაში დამკვიდრდეს ისეთი კულტურა, რომელიც საშუალებას მისცემს სკოლის საზოგადოების წევრებს **თავისუფლად ისაუბრონ საჭირბოროტო და მტკივნეულ საკითხებზე და, ამავდროულად არ ჰქონდეთ შიშის განცდა, რომ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრების გამო ვინმე გაკიცხავს**.

ხელშემწყობი გარემო და კულტურა სკოლაში

რა ელემენტებს მოიცავს ამგვარი კულტურა? კულტურა, რომელიც ხელს უწყობს რთულ საკითხებზე თავისუფლად მსჯელობისთვის საჭირო გარემოს შექმნას, არის კულტურა, რომელიც არის:

- **უსაფრთხო** – არავინ ხდება ჩაგვრის, შეურაცხყოფისა და დაშინების მსხვერპლი,
- **მეგობრული** – ყველა ადამიანი აღიქმება პიროვნებად და ყველა პიროვნება თავს გრძნობს როგორც სკოლის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი,
- **ღია** – ყველა სარგებლობს თავისუფლებით ჰქონდეს და გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და შეხედულება,
- **ინკლუზიური** – ყველა სარგებლობს თანაბარი უფლებით მონაწილეობა მიიღოს სკოლის ფარგლებში გამართულ ნებისმიერ ღონისძიებასა თუ აქტივობაში,
- **ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული** – დაცულია ყველას უფლება, განსაკუთრებით გამოხატვის თავისუფლება, რწმენისა და რელიგიის თავისუფლება, კონფიდენციალურობა და დამამცირებელი მოპყრობისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრების უფლება,
- **დემოკრატიული** – ყველა მონაწილეობს სკოლის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

სკოლის შინაგანაწესი და ქცევის კოდექსი

კარგად ფორმულირებული და სამართლიანი შინაგანაწესი და ქცევის კოდექსი და მათი სათანადოდ გატარება წინ გადადგმული ნაბიჯია სკოლაში სასურველი კულტურის დამკვიდრების მიმართულებით. ეს ეხება როგორც წესებს, რომლებიც არეგულირებს სკოლის საზოგადოების წევრების ყოველდღიურ ქცევას სკოლაში თუ სკოლის შემოგარენში, ასევე წესებს, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ საკლასო გარემოში, მსჯელობისა და დისკუსიების წარმართვის დროს.

შეგიძლიათ დაასახელოთ ისეთი საჭირბოროტო საკითხი, რომლის საკლასო გარემოში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის განხილვასაც ზღუდავს სკოლაში დამკვიდრებული კულტურა? ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაასახელეთ ეს საკითხები და ახსენით როგორ და რატომ იზღუდება მათი განხილვა საკლასო გარემოში?

სადავო საკითხები - თემა 4: სადავო საკითხები და სკოლის კულტურა

სადავო საკითხები და სკოლის კულტურა - შეაფასეთ თქვენი სკოლა

რამდენად აძლევს თქვენს სკოლაში დამკვიდრებული ეთოსი და კულტურა სკოლის საზოგადოების წევრებს საშუალებას ისაუბრონ და იმსჯელონ რთულ საკითხებზე? ერთი გზა იმის შესამოწმებლად თუ რამდენად მზად არის თქვენი სკოლა მოსწავლეებთან მსგავს საკითხებზე მსჯელობისათვის, არის მარტივი გამოკითხვის ჩატარება, რომელიც სკოლის საზოგადოების განწყობასა და დამოკიდებულებებს ავლენს. ზოგადი სურათის მისაღებად, რეკომენდებულია გამოკითხვაში, მოსწავლეებისა და მასწავლებლების გარდა, მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეთა მშობლებმაც.

ქვევით მოცემულია რამდენიმე ზოგადი კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემაც შეგიძლიათ სთხოვოთ ნებისმიერ პირს, რომელიც სკოლის საზოგადოებასთან ასოცირდება:

სკოლის კულტურა - დამოკიდებულებების კვლევა

სკოლაში:

1. როგორ გეპყრობიან სხვა პირები?
2. რამდენად დაცულად და უსაფრთხოდ გრძობთ თავს?
3. როდესაც პრობლემას აწყდებით, იცით ზუსტად ვის უნდა მიმართოთ?
4. რამდენად გისმენენ გარშემომყოფები და რამდენად ითვალისწინებენ ისინი თქვენს აზრს?
5. რამდენად გეძლევათ შესაძლებლობა გამოხატოთ თქვენი შეხედულება თუ მოსაზრება?
6. რამდენად ხშირად გაქვთ შესაძლებლობა გაუზიაროთ საკუთარი შეხედულება თუ მოსაზრება სკოლის საზოგადოების რომელიმე წარმომადგენელს და იმსჯელოთ ამ მოსაზრების შესახებ?
7. სარგებლობთ სიტყვის უფლებით, როდესაც წარმოებს სკოლის წესების დადგენა ან რაიმე საკითხზე გადაწყვეტილების მიღება?
8. როგორი ურთიერთობა აქვთ სხვადასხვა სოციალური, ეთნიკური თუ რელიგიური წარმომავლობის მქონე მოსწავლეებს ერთმანეთთან?
9. რამდენად უწყობს ხელს თქვენს სკოლაში დამკვიდრებული კულტურა ისეთი პირების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობები მქონე პირები არიან, განსხვავებული გენდერული თუ სექსუალური ორიენტაცია აქვთ, ან განსხვავებულ ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან?

სადავო საკითხები - თემა 4: სადავო საკითხები და სკოლის კულტურა

სადავო საკითხები და სკოლის კულტურა - მოსწავლეების გამხნევება, რათა მათ თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები კლასში

მოსწავლეებს უჭირთ სადავო საკითხების შესახებ მსჯელობაში ჩართვა, თუ მათ არ აქვთ სკოლაში საჯაროდ გამოსვლების გამოცდილება. თუ მოსწავლეებს ხშირად ვაძლევთ კლასში საუბრის შესაძლებლობას, ისინი ეჩვევიან საკუთარი მოსაზრებების სხვების წინაშე გამოთქმას. ეს ეხმარება მათ უფრო მეტი თავდაჯერებით წარსდგნენ საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსვლისას და მეტად იყვნენ მზად მსგავსი გამოცდილების მისაღებად.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესში არის ის, რომ მოსწავლეებმა უნდა იგრძნონ, რომ მათ უსმენენ, როდესაც ისინი საუბრობენ, და რომ საზოგადოება პატივისცემას გამოხატავს მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა თუ შეხედულებების მიმართ.

თქვენ რითაც შეგიძლიათ დაეხმაროთ მასწავლებლებს, რათა მათ შეძლონ მოსწავლეებისათვის სათანადო გარემოს შექმნა და საკუთარი მოსაზრებებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობის მიცემა, არის მათთვის ე.წ. **საკონტროლო სიის** მიწოდება, რომელიც მათ გაკვეთილის დაგეგმვისას უნდა გამოიყენონ. გარკვეული დროის მანძილზე ამ სიით სარგებლობის შემდეგ, მასწავლებლები აღმოაჩენენ, რომ ისინი საკონტროლო სიაში მოცემულ პირობებს ავტომატურად ასრულებენ. ამგვარი საკონტროლო სიით თქვენ ასევე შეგიძლიათ ისარგებლოთ გაკვეთილების მონიტორინგისა და შეფასების დროსაც.

ქვევით გთავაზობთ საკონტროლო სიაში შესატანი საკითხების ნიმუშებს:

საკონტროლო სია - რამდენად ეძლევათ მოსწავლეებს საშუალება გაკვეთილზე თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები

გაკვეთილის განმავლობაში ეძლევათ მოსწავლეებს შემდეგი შესაძლებლობები?:

კითხვის დასმა ?
მოსაზრების გამოთქმა?
სხვა მოსწავლეებთან გასაუბრება?
პრაქტიკული წინადადებით გამოსვლა?
კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება?